




**ZE GAVLENA**

ISSN 2667-9728 (Online)

RAV• art review 05.2021



# შეგვიხარება

ჩაპი • ანტი კოლექციონერი 05.2021

--- ზინვილილი ნიშნები ---

# შინაარსი content



PRESENTS

საუბარი ხელოვნებას

4

ინტერვიუ ლია ბაგრატონთან



PRESENTS

IN CONVERSATION WITH THE ARTIST

8

INTERVIEW WITH LIA BAGRATIONI



ისტორიული უკუბრუნება

11

ვახი და თიხა



HISTORICAL NARRATIVES

13

WINE AND CLAY



OLD MASTER

14

ალდე კაკაბაძე ALDE KAKABADZE



PRESENTS

ქერამიკა დღეს

15

ბელაზ ბეჟიძე



PRESENTS

CERAMIC TODAY

18

MALKHAZ SHVELIDZE



PRESENTS

ხელოვნებათმცოდნის ბლოგი

20

მარიამ შერგელაშვილი - თიხაში უორკაუპინი ბენსაღებები



PRESENTS

BLOG OF AN ART HISTORIAN

21

MARIAM SHERGELASHVILI - STATEMENTS MOULDED IN CLAY



PRESENTS

EMERGING ARTIST

22

მერაბ გუგუნასვილი



PRESENTS

EMERGING ARTIST

23

MERAB GUGUNASVILI



PRESENTS

ალგორითმი 5

24

ისტორიის გადაკვეთა - იოსებ კბილაშვილი



PRESENTS

ALGORITHM 5

25

INTERSECTING WITH HISTORY - IOSEB KBILASHVILI



PRESENTS

ქერამიკა დღეს

26

ქერამიკული უნდასაბეჭო - უტა ბეკაია



PRESENTS

CERAMIC TODAY

27

CERAMIC PHANTASMAGORIA - UTA BEKAIA



PRESENTS

WHITE STUDIO

28

HANDMADE PORCELAN



PRESENTS

WHITE STUDIO

29

ინტერვიუ ნატა ერისთავთან



PRESENTS

WHITE STUDIO

32

INTERVIEW WITH NATA ERISTAVI

# თიხა

არის მახსიარების ჯურჯალი,  
რომელიც მზადაა

ბადაიუცვას  
ფორმად



მასსოვს ჩვენი გაცნობის პერიოდში, 2016 წელს, როდესაც აბრეშუმის მუზეუმის საგამოფენო პროექტზე მუშაობდი, გამოკვეთილად თიხის არტისტი - ამგვარი სახელდებით განსაზღვრე საკუთარი თავი. რას გულისხმობდა ეს დეფინიცია მაშინ და რას გულისხმობს დღეს? წარგვიდგინეთ ლია ბაგრატიონი

REACH  
art VISUAL  
ART consulting  
company

PRESENTS

საუბარი ხელოვნებასთან

## სუსტად და მძიმად



ეს ტერმინი ერთ-ერთ უცხოენოვან ტექსტში ვნახე და მოვიხიბლე ამ განსაზღვრებით. როდესაც თიხაში ინტენსიურად დავიწყე მუშაობა, ეს იყო 2000 წელს, ქართველ კერამიკოსთა პირველი სიმპოზიუმი (ამ სიმპოზიუმზე მიიღო გრანპრი. მ.შ.), მაშინ სწორედ კერამიკულ ნამუშევრებს ვაკეთებ-

## საუბარი ხელოვნოანთან



დი და ნამდვილად მხოლოდ კერამიკოსი ვიყავი. მოგვსენებთან, კერამიკა არის ღუმელში გამომწვარი თიხა. შემდეგ კი, დავინტერესდი არამხოლოდ კერამიკული ნამუშევრის შექმნით, არამედ უშუალოდ თიხის თვისებებითაც. სწორედ ამ ტექნიკური მიზეზითაც განისაზღვრა, რომ მე დღეს ვარ არამხოლოდ კერამიკოსი, არამედ უფრო თიხის არტისტი.

თიხა, როგორც რჩეული მასალა. ეს აზრი რომ განვაგრძოთ. სხვადასხვა მედიუმი მუშაობთ, მაგრამ თიხა, შეუცვლელია... როგორ და რატომ იქცა თქვენთვის თიხის მედიუმი გამორჩეულ მასალად?

რატომღაც ისე მოხდა, რომ თავიდანვე შემთხვევითობის ძალით დავეკავშირდი კერამიკას. ამიტომაც, თიხა, როგორც მასალა, გახდა ჩემთვის უნიკალური მედიუმი, მასში სივრცულად აზროვნება თავისუფლად არის შესაძლებელი. „თიხა

არის მესხიერების ჭურჭელი, რომელიც მზადაა გადაიქცეს ფორმად“ - ესაა ჩემი დევიზი. თიხა ინახავს გარკვეულ ისტორიულ ცოდნას და ენობრივ თამაშებშიც ერთვება. ქოთანი, როგორც კერამიკის სიმბოლო პირველად ჩემს ნამუშევრებში ზემოთ აღნიშნულ სიმპოზიუმზე გამოვიყენე. გავაკეთე, როგორც მარტივი ფორმის ქოთნები, ასევე ქოთნებისგან აწყობილი სკულპტურები. მაღევე, სერიაში „გამქრალ ქალაქ-თა ანარეკლები“ (Mirror Reflections of Vanishing Cities) გამოვიყენე ქოთანი და მისი სივრცული, არ-ქიტექტურული გააზრება. „გამქრალ ქალაქთა ანარეკლების“ ეს ვერსია არქეოლოგიური მასალის ინსპირაციაა. ამის შემდეგ XXI საუკუნის მსოფლიო პოლიტიკური თუ ბუნებრივი კატასტროფების ზე-მოქმედებით განვავითარე დანგრეული ქალაქების იდეა და როდესაც ამ ნამუშევრის წარდგენა თბილისში გადავწყვიტე 2008 წელს, ქვეყანაში ნამდვილი ნგრევა და ომი დაიწყო.

ჩემთვის იმის ცოდნა, რომ ნამუშევარი უნდა გავაკეთო კონკრეტულ დროს, მაძლევს შესაძლებლობას მაქსიმალური კონცენტრაციით დავინყო ფიქრი. ამ პროცესში არის ორი გზა - ან იდეა გიბიძგებს აარჩიო მასალა, ან მასალას მიჰყავხარ კონკრეტულ შინაარსამდე. ეს პროცესი გავს წამიერ გავლევებასაც, როცა ზუსტად ხვდები რა მიმართულებით წახვალ. ჩემთვის შთაგონება ხშირად ინტელექტუალური გააზრებიდან მოდის, ეს შეიძლება იყოს ლიტერატურული თუ მითოლოგიური ან ფილოსოფიური ტექსტი. მაგალითად, ჩემს ერთ ნამუშევარში ქოთნის იდეა ლაო ძის კონცეფციის მიხედვით განვავრცე. ლაო ძი ამბობს, რომ ჩვენ ვაშენებთ კედლებს ქოთნისთვის, მაგრამ სინამდვილეში ქოთანი არის კედლების შიგნით არსებული ხელშესახები სიცარიელე.



ნამუშევრებით იდეის ფორმაციებზე, კონტექსტზე და სუბიექტურ რეფლექსიებზე აფიქრებთ მნახველს. როგორია ფიქრისა და ნამუშევრის შექმნის გზა.

პარალელური პროცესია? არის თუ არა გარკვეული ესთეტიკური კატეგორიები, რაც ლია ბაგრატიონის შთაგონება ხდება?

## ქოთანი

არის კედლაბის შიგნით არსებული ხელშესახები სიცარიელა



საუბარი ხელოვნოან



პერსონალური ისტორია, ამბავი რომელიც შემდეგ სიმბოლოდ იქცევა. ამ განსაზღვრებაზე რას იტყობი? იმდენად, რამდენადაც ხშირად თქვენი ნამუშევრები პირადი ისტორიების, ინტელექტუალური გამოცდილებების სინთეზია.

პირადი ისტორია ქმნის ხელოვანის პირად მითოლოგიას, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მაქვს ნამუშევრები, რომელსაც სულ ვუბრუნდები, მუდმივად ვავითარებ გარკვეულ ამბებს. მაგალითად, ჩემი ნამუშევარი „უნივერსალური დამწერლობა“ ჩემს ბავშვობისდროინდელ ნაწერებს უკავშირდება და ამისგან სხვადასხვა მდვიულში ვაკეთებ ნამუშევრებს. ასევე, დაგეგმილი მაქვს ამ თემაზე დედიკას გალერეაში გამოფენის გაკეთებაც, რაც მთლიანად დაუკავშირდება ე.წ. craft-ის, რენჯის, ხელნაკეთობის კონცეფციას.

რა არის ის ყველაზე გადამწყვეტი მომენტი, რაც ხელოვანად აყალიბებს ადამიანს. არსებობს კი ასეთი რამ? თუ თანდათან ხდება შემოქმედებითი ნიჭის აღმოჩენა? როგორია თქვენი პირადი დამოკიდებულება?

ჩემ შემთხვევაში ეს იყო თანდათანობითი გზა. ეტაპობრივად ვინტერესდებოდი სხვადასხვა სფეროთი. თავიდან არქიტექტურა მიზიდავდა, შემდეგ ფერწერა, კერამიკა, მუდმივად ვფიქრობდი ხელოვნებაზე. ამან თანამედროვე ხელოვნების ველში გადამიყვანა. ასე მგონია, რომ ხელოვნება არის განვითარების დაუღალავი მცდელობა და ამ პროცესში მეც ვცდილობ უფრო და უფრო ხარისხიან იდეებს შევქვიდო.

დრო და სუბიექტი. რა არის დრო თქვენთვის? ხელოვნება დროის მიღმა დგება, წინ უსწრებს თუ თანადროულია?

დრო ხელოვნებასთან მიმართებით არის სიცოცხლესთან თანმდევი, შეუქცევადი პროცესი და შეუძლებელია ეს სრულად ამომწურავად აღიქვა. თანაც ყოველთვის გააჩნია შენ ამ დროში რა მდგომარეობაში ხარ. ჩემთვის ნამუშევარს ნამდვილად თავისი დრო აქვს. მაგალითად, ყოველდღე 4 წელია ვაკეთებ სქრინშოტს, რაც ჩემი ნამლის დაღვევის რუტინას უკავშირდება. ეს იდეა გაჩნდა აღმზობისგან, რომ მთელი ცხოვრება ზუსტ დროს უნდა დავლიო წამალი, სანამ ცოცხალი ვარ და დავიწყებ ფიქრი, ამ რუტინაშიც შემოქმედებითი ხედვა როგორ განმევითარებინა. ონ კავარას აქვს ასეთი ნამუშევარი, როცა ყოველ განვლილ დღეს აღბეჭდავს, სადაც ეგზისტენციალური შფოთვაც ჩანს. ჩემ შემთხვევაში ეს ერთგვარად ჩემს პირად დროსა და რუტინას დავუკავშირე. ერთი წლის მანძილზე ასევე ყოველდღე სამ საათზე ვაკეთებდი მოკლე ჩანაწერებს, რომლებიც ეფუძნება ჩემს მყისიერ ფიქრებს, ამგვარ გადაწყვეტაზეც მიბიძგა იმ ფიქრმა, თუ რა ფორმით შემიძლია გავაჩერო დრო. ამ ნამუშევარს გამოვცემ უახლოეს მომავალში, კიდევ ვფიქრობ დროისა და მზის ურთიერთკავშირით ვიმუშაო გარიყულაში ახალ ინსტალაციაზე.

თქვენი ნამუშევრები ხშირად არადასრულებული ფორმით წარდგებიან მნახველის წინაშე. ამ საკითხზე თქვენი ხედვა რომ გავგიზიაროთ.

ამ პროცესამდე გარკვეულწილად ინტუიციურად მივედი და მივხვდი, რომ მაინტერესებდა, როგორ ხდება მასალა თავისთავად განგრძობადი ნამუშევარი. ამ პროცესში, როდესაც ნამუშევარი თავისთავად იშლება, იღვწება, ის ხდება თავისი თავის შემოქმედი, მე უბრალოდ ბიძგის მიმცემი ვხდები. თანაც, ამგვარ პროცესში მიღებული ნამუშევარი არასდროს იქნება ორი ერთნაირი, ეს მომენტი აქცევს მას განუმეორებელად.



## საუბარი ხელოვნებასთან

კონცეპტუალურ და ფილოსოფიური შრეებთან ერთად, ხშირად გამიზნულად გარკვეულ "პროვოკაციულ" სარკასტულ ელემენტს შეიცავს თქვენი შემოქმედება. მახსენდება გამოფენა 1001 რაუნდი დედიკას გალერეაში. მნახველის ემოციებზე ამგვარი ზემოქმედება რამდენად წინასწარგამიზნული ჩანათქონია?

ამ შემთხვევაში ეს იყო მიზანმიმართული პროვოკაცია, ჰეფენინგი, როდესაც მნახველი მოდიოდა გამოფენაზე, სადაც ის მოელოდა სტანდარტულად ავტორისგან ნამუშევრებს, რადგან ყველაფერი - პრესრელიზი, მოსაწვევი, სიუჟეტი წინასწარ დავეგეგმე ამ გამოფენისთვის ისე, როგორც წესი და რიგია. თუმცა გალერეაში მოსული დამთვალიერებელი წამის მეთაღში გაივლიდა თავად ნამუშევარში (სპეციალურად გალერეის სივრცეში აგებული დერეფანში), ისე, რომ ვერც ხვდებოდა და შემდეგ ჩნდებოდა სხვადასხვა ემოცია - გაოცება, შფოთი, გაბრაზება, რომ სადაა გამოფენა. ამ შემთხვევაში მაყურებლის რეაქციები ხდებოდა თავად ნამუშევარი. ამ ჰეფენინგის იდეა ეხმიანებოდა იმ „რაუნდებს“, მითებს, მოლოდინებს, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურობაში მკვიდრდება.

როგორც დამკვირვებელი და მაყურებელი თქვენს შემოქმედებაში თვითასახვას დიდი დოზით ვხედავთ, თუმცა ეს სუბიექტური დამოკიდებულება რაღაც დროს იმპერსონალური ხდება. როგორ განზოგადდება პირადი მიმართება და ფორმირდება დამოუკიდებლად ნამუშევარში, ეს ინტუიციური პროცესია თქვენთვის თუ რაციონალური?

ძალიან კარგი კითხვაა. ზოგადად, მე მოვიაზრებ ჩემ თავს ყველაფერში რასაც ვაკეთებ. აქ ორივე მომენტია, რაციონალურიც და ინტუიციურიც. მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი ნამუშევარი, რომელიც არტისტერიუმის ფესტივალზე გამოვფინე, ჩემი ოჯახის საარქივო დოკუმენტები იყო. მე გადავწყვიტე ეს დოკუმენტები გამეჩარჩოებინა და ამ დოკუმენტებთან დაკავშირებული ისტორია მომეთხრო, რომელიც თავისთავად „ქრათოს“ უკავშირდებოდა. იმ წლის არტისტერიუმის თემა იყო სწორედ რენვა/ ხელობა ე.წ. craft და ჩემი ამოცანა გახდა ისეთი ნამუშევრის წარდგენა, ქრათოსის თემაზე, სადაც არაფერი ხელნაკეთი არ იქნებოდა.

დღეს როგორ ხედავთ სამყაროს დინამიკას? ლია ბაგრატიონის პანდემიური რეალობის მოკლე შეფასება, რომ გაგვიზიაროთ

რა თქმა უნდა ზოგადად ვგრძნობ პანდემიის ტრაგიზმს, ყოველდღიურ სტატისტიკაში ვართ ჩართულები, მუდმივად ვიგებთ რამდენი ადამიანი გარდაიცვალა და ეს უბედურება ცხადია მზარავს, მაგრამ მე პერსონალურად, როგორც ხელოვანი, ჯერ კიდევ ვემზადები რომ ჩამოვაცალიბო ჩემი პირადი სათქმელი ამასთან დაკავშირებით. ჯერ მჭირდება დრო, დისტანცირება ამ ამბისგან, რომ დაილექოს ეს ჩემში. თუმცა, საინტერესოა, რომ ხელოვნებაში ეს ამბავი იყო ნაწინასწარმეტყველები ჯერ კიდევ 2019 წელს, ვენეციის ბიენალეზე, ლიტვის პავილიონმა წარადგინა ნამუშევარი "Sun & Sea", რომელიც ნიშანდობლივია, რომ აუთრიუმაც „ოქროს ლომით“ დააჯილდოვდა. აქ პატარა-პატარა ადამიანური საწუხარები, ერთ მშვენიერ მზიან დღეს ვითარდება, თანდათან ლიბრეტო მძაფრდება და ამ ტრივიალურ ნოტას უკვე სხვა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამგვარად დაიწყო პანდემიაც, ერთ უწყინარ დღეს უპანში და მოწმენდილ ცაზე თავზარი დაეცა მსოფლიოს.

ჯერ კიდევ ვემზადები რომ ჩამოვაცალიბო

# ჩემი სათქმელი



*This is not a Pot*



*We shape clay into a pot, but it is the emptiness inside that holds whatever we want.*



# Lia Bagrationi



IN CONVERSATION WITH THE ARTIST



I remember in 2016, when we first met, you were working on a project for the Silk Museum and defined yourself as a clay artist. What did this definition mean back then and what does it imply today? Present Lia Bagrationi.

I saw this term in one foreign text and was enchanted by the definition. It was the year 2000 when I started intensely working with pottery. I was creating ceramic works for the first symposium of Georgian ceramists. Back then, I was truly only a ceramist. As you know, pottery is clay that has been kiln-fired. Later, my area of interest spread away from pottery specifically and more towards the properties of clay. Due to this technical reason, today, I am not only a ceramist, but more of a clay artist.

Clay, as the chosen material. Could you elaborate on that? You work with different materials but clay is irreplaceable... Why and how did clay become a distinguished media for you?

Somehow, from the beginning, my connection with ceramics was accidental. Clay, as a material, became unique for me, it allows for a liberated spatial expression. "Clay is a memory vessel that is ready to be turned into a form" – this is my motto. Clay retains certain historical knowledge and is also part of linguistic games. I used a pot as a symbol of pottery for the first time in my works at the above-mentioned symposium. I created simple pots, as well as sculptures constructed with pots. Soon after, in the series Mirror Reflections of Vanishing Cities, I used a pot and its spatial, architectural interpretation. This version of the Mirror Reflections of Vanishing Cities is an inspiration of archeological material. After that, I developed the idea of ruined cities under the influence of the world political or natural disasters of the XXI century, and when I decided to present this work in Tbilisi in 2008, a real destruction and war started in the country. Therefore, clay as a material and, at the same time, clay as a memory vessel expresses a variety of ideological connections for me.

With your works, you make the viewer reflect on the idea formations, context and subjective reflections. What is the path of thought and creation like? Is this a parallel process? Are there certain aesthetic categories that inspire Lia Bagrationi?

For me, knowing I will be creating a piece at a certain time gives me the ability to think and maximize my concentration. There are two paths in this process – either an idea pushes you towards a certain material, or a material leads you to a certain essence. This process is like a lightning, in a matter of seconds, you know which direction you will go. Inspiration is often intellectual for me, it can be literature, mythology or philosophy. For example, in one of my works I developed the idea of a pot according to the concept of Lao Tzu. Lao Tzu says that we shape clay into a pot, but it is the emptiness inside that holds whatever we want.

A personal story, that later becomes a symbol. What would you say about this definition? Given that often your works are a synthesis of personal stories, intellectual experiences.

Personal history creates an artist's personal mythology, which is very important for me. I have pieces that I always go back to and I always develop certain stories. For example, my work Universal Script is related to my



childhood writings and I make works from it in various mediums. Also, I plan to make an exhibition on this topic at the Dédicace Gallery, which will be completely related to the concept of handicraft.

What is the decisive moment that shapes a person as an artist? Does it even exist? Or is creative talent discovered gradually? What is your personal take on this?

For me this path was gradual. I was developing interest in different areas at different stages. I was very appealed by architecture at first, then painting, ceramics. I was always thinking about art. This brought me into the contemporary art space. I feel like art is a continuous attempt of development and I try to tackle more and more sophisticated ideas in this process.

Time and subject. What is time for you? Is art beyond time, ahead of time or synchronous to it?

Time in relation to art is an irreversible, synchronous process, and it is impossible to comprehensively perceive it. Besides, it always depends on what state you are in at this time. For me, there is a certain time for art. For example, every day for 4 years I have been taking screenshots, which is related to my medication routine. This stemmed from the outrage of having to take medicine at exactly the same time for the rest of my life. I started to think about developing a creative vision within this routine. On Kawara has a piece in which he depicts every passing day and even the existential dread is apparent. In my case I somehow linked it to my personal time and routine. For a year I also did short entries at three o'clock every day, based on my instant thoughts, and I was also pushed into such a solution as an attempt to stop time. I will publish this work in the near future, I am still thinking of working on the relationship between time and the sun on a new installation in Garikula.

IN CONVERSATION WITH THE ARTIST



We often remember that your works are presented to the viewers in an unfinished form. Share your vision on this matter.

I went through this process somewhat intuitively and realized that I was wondering how the material itself becomes a continuous work. In the process, when a work shatters and breaks down by itself, it becomes its own creator, I just create the impetus. Besides, no two works obtained in such a process will ever be the same, this moment makes it unique.

Along with conceptual and philosophical layers, your works often contain a deliberately "provocative"/sarcastic elements. I am recalling your exhibition 1001 Round at Dédicace Gallery. How preconceived is such an impact on the viewer's emotions?

In this case it was a deliberate provocation. Visitors coming to the exhibition expected standard works from the author, because everything - the press release, the invitation, the story, was planned in advance in the usual way. However, the visitors who came to the gallery in a tenth of a second passed through the work itself (in a corridor specially built in the gallery space), so that they could not even realize that was the exhibition itself. And then there were various emotions - surprise, anxiety, rage, where is the exhibition?! In this case, the viewer's reactions were the work itself. The idea of this was a response to the "rounds", myths, expectations that are settling in our daily lives.

As observers and spectators, we see a great deal of self-reflection in your work, although this subjective attitude becomes impersonal at some point. How is the personal relationship generalized and formed independently in the work, is it an intuitive process for you or a rational one?

This is an excellent question. Generally, I see myself in everything I create. This is both rational and intuitive. For example, one of my works that I exhibited at the Artisterium Festival was archival documents from my family. I decided to frame these documents and tell a story related about them, which in itself was related to the craft.

How do you see the dynamics of the world today? Share Lia Bagrationi's short evaluation of the pandemic reality.

Of course, I generally feel the tragedy of the pandemic, we observe daily statistics, we are constantly learning how many people have died and this calamity is obviously looming. But I personally, as an artist, am still preparing to formulate my personal say in this regard. First, I need time to distance myself from this story to let this reality sink in. However, it is interesting that this story was predicted in art back in 2019, at the Venice Biennale, the Lithuanian pavilion presented the work Sun & Sea, it is noteworthy that it awarded with the Golden Lion. Here little personal sorrows unfold on one fine sunny day, the libretto gradually intensifies, and this trivial note is already given a universal significance. This is how the pandemic started, out of nowhere, one harmless day in Wuhan shook the whole world.

# ვაზი და თიხა

უძველესი არტეფაქტების კვალდაკვალ



რა არის ის კულტურული კოდი, რაც საქართველოში უძველესი ცივილიზაციის არსებობის დადასტურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ? ვაზი და თიხა - სწორედ ათასწლეულობით დაშორებულ კულტურასთან უწყვეტობის კავშირად შეგვიძლია განვიხილოთ. საქართველო, რომელიც დღინის სამშობლოა, საკუთარ ისტორიულ წიაღში კულტურული იდენტობის განუყოფელ ნაწილად მეთუნეობის პირველქმნილ ნიმუშებს აერთიანებს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მევენახეობის განვითარების საფუძვლებთან არის გადაჭაჭვული ჩვენი წინაპრების მიერ თიხის ჭურჭლის დამზადების ტრადიცია. ჯერ კიდევ ნეოლითის პერიოდში, ძვ.წ. VI-V ათასწლეულით დათარიღებულ შულავერის კულტურაში, "ნეოლითური რევოლუციისა" და ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარების სანყის ეტაპზე, აღმოჩენილია თიხისგან დამზადებული და ვაზის მტევნებით გაფორმებული უძველესი ქვევრი. კერამიკული ჭურჭლის ანაფხეკებში აღმოჩენილი კულტურული ვაზის მტვრის

ისტორიული ფაქტები



მარცვლები ამ ჭურჭელში ღვინის არსებობას ადასტურებს. ამდენად 8 ათასი წლის წინანდელი ტრადიცია ღვინისა და თიხის ჭურჭლის დამზადების განუყოფელ პროცესს გვიჩვენებს. ამავე პერიოდით თარიღდება უმი თიხისგან გამოძერწილი ქალღმერთის მცირე სკულპტურა. ეს ფაქტები ადასტურებს, რომ თიხისგან შექმნილი ნიმუშები, არამხოლოდ ფუნქციურ, არამედ სარიტუალო დანიშნულებასაც ითავსებდა. ისტორიული განვითარების შემდგომ პერიოდში, ძვ. წელთაღრიცხვით III ათასწლეულის მიჯნაზე გამოჩნეულია მტკვარ-არაქსის კულტურა, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად ასევე მნიშვნელოვანი უძველესი კერამიკული ჭურჭელია აღმოჩენილი. ეს ნიმუშები, როგორც არტეფაქტები ადასტურებს, თუ რამდენად მთლიანია ადამიანის ბუნებასთან და ბუნებრივ მასალებთან კავშირი. ეს კავშირი დღეს, ისტორიის საწყისს ეტაპთან გვაბრუნებს და გვაფიქრებს უსახელო დიდოსტატებზე, უძველეს ცივილიზაციაში გამოძერწილ კულტურულ იდენტობაზე, სადაც თიხა უპირობოდ მოწინავე მედიუმია.





# Wine and Clay

*In the footsteps of ancient artefacts*

What is the specific cultural code that can be considered as proof of existence of the ancient civilization in Georgia? Vine and clay are what makes the culture thousands of years away connected and continuous. Georgia, the homeland of wine, encompasses the first samples of pottery in its historical entrails as an integral part of its cultural identity. It is noteworthy that the foundations of viticulture are intertwined with the tradition of pottery-making by our ancestors. As far back as the Neolithic period, during the Shulaveri culture of VI-V Millennium BC., at the initial stage of the "Neolithic Revolution" and the development of the early stages of agriculture, an ancient wine jar made of clay and decorated with vine clusters was found. The grains of vine dust found in the shards of ceramic pot confirm the presence of wine in the vessel. Thus the 8,000-year-old tradition shows the inseparable process of wine and pottery-making. A small sculpture of a goddess made of raw clay dates back to the same period. These facts prove that the items made of clay served not only a functional, but also a ritualistic purpose. In the subsequent period of historical development, on the verge of III millennium BC, the Kura-Araxes culture is distinguished, where archeological excavations have also uncovered important pieces of ancient pottery. These pieces, as artefacts, prove the comprehensiveness of the connection between the human nature and natural materials. This connection takes us back to the beginning of history and reminds us of the unknown masters, the cultural identity sculpted in the ancient civilization, where clay is the unconditionally predominant medium.



OLD MASTER



# ალდე კაკაბაძე

ქართული კერამიკის დედა



## ALDE KAKABADZE

MOTHER OF  
GEORGIAN  
CERAMICS

# სუდის საბეჭოები

ქართული გაზეთის სტატიის ფრაგმენტი

ნამუშევრებს სახელებს არ არქმევს - ფიგურებს ეძახის. თუმცა მისთვის ყველა ეს ფიგურა, როგორც თავად ამბობს, „ვიღაც ადამიანია, თავისი ხასიათით, ბუნებით.“ ამოჩემებული პიროვნებებიც ჰყავს. ასეთია ვესპასიანე, რომის იმპერატორი, რომელმაც კოლიმეუმის მშენებლობა დაიწყო. ფიგურების მთელი სერია აქვს გაკეთებული, რომელსაც მისი სახელი დაარქვა.

„თიხის ოფისში“ ვარ, სტუმრად მხატვარ-ვერამიკოს მალხაზ შველიძესთან.

იგი ცხოვრების დიდი ნაწილს ამ „ალქიმიურ“ სახელოსნოში ატარებს. თითქოს აქ დროის და სივრცის საზღვრები არ არსებობს. საუბრობს რელიგიაზე, მითოლოგიაზე (ბერძნული კულტურის დიდი თაყვანისმცემელია), ფილოსოფიაზე, ყოფაზე, ადამიანზე... საუბრის დროს სულ სხვადასხვა, ახალ-ახალი ემოცია იბადება.



“

შველიძე ზუსტი ნახაზებით საგულდაგულოდ გეგმავს ნამუშევრის შექმნას. ეს ფორმულა მეორდება თითოეულ ნამუშევარში და კონფიგურაცია იცვლება. ამას გარდა, მაყურებელი ეცნობა სხეულის ნაწილებს, რომლებიც ზოგჯერ მოოქროვილია, ასევე გაფორმებულია საიდუმლო უჯრებითა და ჩაბნელებული პალატებით - ესაა რიტუალური ზეციური საკურთხევლი სამეფო საკუთრებისთვის, ან ინტიმური, ღვთიური სულების საცხოვრისი.

ხელოვნებათმცოდნე  
გილ გოლდფაინი





## ქრამიკა დღეს

თონი გვეგონოთ, ან ქვა. თუ "უცნობ" თიხას ამუშავებს, გამოწვის დროს ცდება ატარებს. ჯერ ესკიზს ხატავს, შემდეგ - მუშა ესკიზს, რომელიც მთლიანად ნახაზია - მათემატიკური გამოთვლებითა და ზომებით. გამოთვლები ბევრჯერ ჰქონდა, პერსონალურიც და ჯგუფურიც. ისრაელში მის შემოქმედებას ასეთი ტერმინი მოუძებნეს - „ნიუ-არქაიკა“ - თანამედროვე არქაიკა. რომში კერძო დაკვეთით ფიგურები დიდ ზომებსა და მასშტაბ-

„ეს პატარა ფიგურები რაღაც ძვირფასს ინახავენ, მაგალითად, ერთხელ აღმოვაჩინე, თითქოსდა რაღაც ნათესაური კავშირია მათ და ეტრუსკულ კანოპებს შორის, რომლებშიც ოდესღაც ფერფლს ინახავდნენ, ზუსტად ვერავინ განსაზღვრავს, რატომ დებდნენ ოჯახში ფერფლს, ან ბავშვის კბილს, ან თმის კულულს. პირველი კბილი მოიცვალა ბავშვმა - სინამდვილეში ის სინარულის მატარებელია. ეს არის რაღაც კონკრეტული ემოციის შენახვა... გრძნობათა შესანახი ყუთებია“.

პირველად თიხა ისე მისცეს, მოუსვენარ და ცელქ ბავშვს დააწყნარებსო. „თიხა სასწაულად ამშვიდებს. ალბათ, სხვანაირი გავხდებოდი, სულ სხვანაირად დავამთავრებდი წუთისოფელს, თიხას რომ არ შევხებოდი.“



„მოგჯერ სამყაროში რაღაც წყვეტა ხდება; და უცებ ჩნდება ამხელა მანძილი, გავლილი პატარბავშვობიდან ჩემამდე; გადავწყვიტე, ეს თემა განვითარებულიყო - ფიგურა, რაღაც ძვირფასის შესანახი, იმდენად საინტერესოდ მეჩვენა“...

ეს ნამუშევრები თავიანთი ორიგინალობითა და „სიძველით“ გზიბლავენ. რაღაც სიმბარივითაა. თითქოს შიგნით ოთახები და დარბაზებია, უხილავ პერსონაჟებსაც ხედავ, თითქოს დიალოგიც გგმის და მუსიკაც. მნახველისთვის ფიგურები სხვადასხვა ასოციაციას ბადებს. პირველ რიგში, თითოეული მათგანი ისტორია, თავგადასავალია.


მრავალწლიანმა გამოცდილებამ თიხის პროფესიონალად აქცია. ის ცდებასაც ატარებს სახელოსნოში და სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებას იყენებს. ფიგურების ფაქტურა თიხას არ ჰგავს. შეიძლება ლი-





ში გააკეთა. ის ყველაფერში საკუთარ ნაწილს, ენერგეტიკას დებს. ამიტომაც, მისი ფიგურები განსაკუთრებული, დახვეწილი და უაღრესად სუფიერია — გერმანიაში მათ „სულის სამეფოები“ უწოდებს.

# GORGEOUS KINGDOM OF SPIRITS



A wizard for spirits

Maia Duisivili chats with Malkhaz Shavelidze, the unique master of ritualistic ceramics and gives you a glimpse of his specific and very complicated world of mystery.

Every piece has their own method of copying, and with something ex-

traordinarily interesting, in order to prevent the transformation of a beloved home into one big mess. Some prefer to toast off on their offering a box of spirits or a chess set. Others so make their last postage of expensive make-up to keep the young ones entertained. The artist,

Malkhaz's grandmother usually chose clay. She made spirit portraits, amazing figures of people and animals, though through a child's eyes and imagination they were gorgeous. Lacking the village where grandma lived was rich with clay. So every summer Malkhaz's collection gradually increased.

Apart from making figures, he tried to shape tiny chess sets, underground wine storage jars. Since the eleven-year-old boy decided that it was quite boring and without hesitation he missed figures and chess sets into one sculpture. Most of his creative efforts usually took place high above, out of reach, so that his younger brother wouldn't have an chance to damage his precious master one. Who could have ever thought, especially his grandmother, that not more than twenty years later, Malkhaz would become the unique master not only in Georgia but also in the world over.

In the early nineties, he visited Italy and during his trip to Rome he noticed one extraordinary and simply astonishing thing. "You may surely believe it but in one of the museums I saw my sculptures. I mean, I thought they were a mine, because they were identical." The sculptures he saw turned out to be Finisiani ones, of the same style as Malkhaz's works but a little bigger. Finisiani believed that the soul of dead people would at some point return and the sculptures would serve as their individual tiny castles. Amazing, but the four-year-old boy from the small Georgian village unconsciously traveled back in time. This was a major turning point for Malkhaz and since that very day he has been creating his own unique and magical world of ritualistic ceramics.

fully in a quiet castle for wardening spirits. Malkhaz gave his own intensive and dynamic content to them and managed to open a new page in the history of ceramics. His works are technically perfect especially if we take into consider-



Ceramic works of Lia Degradoni, Lali Gorbodias and Giorgi Poshkoria (from left to right)



ation that his castles can be taken apart and expanded in a different pieces, all of them. "The most complicated one was consisted of 7000 small little parts," said he.

The whole process of clay treatment is terribly long and complex. First, a master must leave it then it has to be submerged in water for some time. Next comes the next step, it takes five or six days for clay to dry. Later, it has to be fired in a kiln, though this is not the final stage. "Usually I never use 'dry' clay very much, because it's not as good as the one that is made in a kiln."



Malkhaz Shavelidze in the workshop

At the beginning of this year, Malkhaz took part in one more joint exhibition at the Theresia Karvodiastomasi museum. Last year he was awarded second prize of the Georgian ceramic artists' competition. Though the Grand prize is for him it is, and it's not for Lia Degradoni, it didn't mean them from working together in the workshop. Giorgi Poshkoria and Lali Gorbodias, two other very gifted ceramic masters joined them as well. It's a "community" where all of them have a completely different things to do. They have a lot of plans for the future. They prefer to keep their little secret and happy. I always imagine a tiny man walking in it. He has to be very small. Malkhaz has to have to work with fire.



თიხა, სასწაუღარ ამოვიღებს, ადბათ, სხვანაირი გავხდებოდი, სურ სხვანაირად დავამთავრებდი ნუთისოფადს, თიხას რომ არ შევხებოდი



# Malkhaz SHVELIDZE

CERAMIC TODAY



Shvelidze meticulously plans its construction with exact drawings. This formula repeats itself in each and overwork, except that the configuration change. When dismantled the spectator is introduced not only to slick body parts, which are occasionally gilded, but to secret drawers and darkened chambers, a ritualistic sanctum sanctorum for regal possessions, or as intimated, a dwelling place for divine spirits.



gorgeous  
kingdom

of spirits

Fragment from the article by Maia Duishvili

CERAMIC TODAY

